U5 ფინალი 2019

1. ერთ კომიქსში ეს სუპერგმირი საკუთარ კოსტუმს თვითონ მოიქსოვს. ამ სუპერგმირს სხვადასხვა დროს უპირისპირდებოდნენ დოქტორი რვაფეხა, ხვლიკი, ნორმან ოსბორნი და მრავალი სხვა. დაასახელეთ ეს სუპერგმირი.

პასუხი: ადამიანი ობობა
ჩათვლა: სპაიდერმენი, ბორბოლია კოჩი
კომენტარი: საკუთარი უნარებიდან გამომდინარე, ეს სუპერგმირი დახელოვნებულია ქსოვაში. მას სხვადასხვა დროს უპირისპირდებოდნენ დოქტორი რვაფეხა, ნორმან ოსბორნი, მწვანე გობლინი, ვენომი და მრავალი სხვა. ეს გმირი გახლავთ ადამიანი ობობა.

2. ფილმში "მატრიცა", ერთ ეპიზოდში მთავარ გმირს მოუწოდებენ გაჰყვეს თეთრ კურდღელს. როგორც ჩანს რეჟისორებს წაკითხული ჰქონდათ ის წიგნი, რომელიც თქვენს შორისაც ბევრს ექნება წაკითხული. დაასახელეთ ეს წიგნი.

პასუხი: ალისა საოცრებათა ქვეყანაში
კომენტარი: ამ წიგნის დასაწყისში ალისას სწორედ თეთრი კურდღელი მიუძღვება საოცრებათა სამყაროში. იმედია დაანონსებული წიგნი ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა. სწორი პასუხია ალისა საოცრებათა ქვეყანაში

3. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, იაგო სოუზამ, რომელიც პატარა ზომითა და **ელვისებური** სისწრაფით გამოირჩევა, გულშემატკივრებისგან მიიღო მეტსახელი - **იქსი. იქსი** იაპონურიდან ითარგმნება, როგორც ციმციმა თაგვი. დაასახელეთ **იქსი,** თუ გეტყვით რომ ის 2019 წელს გამოსული ფილმის მთავარი პერსონაჟიცაა.

პასუხი: პიკაჩუ
კომენტარი: ვასკო და გამას მარჯვენა მცველი, იაგო სოუზა გამოირჩევა პატარა ზომითა და ელვისებური სისწრაფით, რის გამოც მას შეარქვეს ეს მეტსახელი. სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა ფილმი "დეტექტივი პიკაჩუ", რომლის მთავარი პერსონაჟიც, რა საკვირველია, არის პიკაჩუ. სწორი პასუხია პიკაჩუ.

4. 2008 წელს ეს სკოლა შოტლანდიაში რეიტინგით 36-ე იყო. ამ სკოლაში ასწავლიდნენ ისეთ საგნებს, როგორიცაა ასტრონომია, ჰერბოლოგია, ისტორია და ფრენა. დაასახელეთ ეს სკოლა.

პასუხი: ჰოგვარტსი
კომენტარი: ამ სკოლაში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა ასტრონომია, ჰერბოლოგია, მაგიის ისტორია, ცოცხით ფრენა, შელოცვები, ბნელი ძალებისგან თავდაცვა და ა.შ. 2008 წლის რეიტინგით შოტლანდიის სკოლებს შორის 36-ე ადგილზე იყო ჰოგვარტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლა. სწორი პასუხია ჰოგვარტსი.

5. მომღერალი ლინდა რონსტადტი იხსენებს, რომ, ერთხელ, მისი თავიდან ამოხტა ცხელ-ცხელი მზა სიმღერა. მომდევნო წინადადებაში ის ახსენებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ერთ-ერთ წარმომადგენელს. დაასახელეთ ის ერთი სიტყვით.

პასუხი: ტოსტერი
კომენტარი: მომღერლის იხსენებს, რომ მისი თავიდან ამოხტა ცხელ-ცხელი მზა სიმღერა სწორედ ისე, როგორც ტოსტერიდან ხტება პურის ნაჭერი. სწორი პასუხია ტოსტერი.

6. კლონების ომების ერთ ეპიზოდში ორ დროიდს გააგზავნიან დავალებაზე, თუმცა მათ აბორიგენები შეიპყრობენ. კითხვის ავტორის აზრით, ამ ეპიზოდში გავლებულია პარალელი 1726 წლის ირლანდიურ ნაწარმოებთან. დაწერეთ ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის გვარი.

პასუხი: გულივერი
კომენტარი: ირლანდიელი მწერლის, ჯონათან სვიფტის ეს პერსონაჟი მოხვდება ლილიპუტების ქვეყანაში, სადაც მას პატარა ადამიანები შეიპყრობენ და გაკოჭავენ. სწორედ ასე მოუვიდათ დარიგებულ მასალაზე გამოსახულ დროიდებს. აღნიშნულ პერსონაჟს ჰქვია ლემიუელ გულივერი. სწორი პასუხია გულივერი.

7. ინგლისურიდან რომ ვთარგმნოთ, **იქსი** ნიშნავს ორკვირიან დროის შუალედს და არაფერი აქვს საერთო ციხესიმაგრესთან და ღამესთან. როგორც აღმოჩნდა, **იქსი** თორის საყვარელი თამაში ყოფილა. დაასხელეთ **იქსი** ერთი სიტყვით.

პასუხი: Fortnite [ფორტნაიტი]
კომენტარი: შურისმაძიებლების ბოლო ფილმის ერთ კადრში ჩანს, თუ როგორ ერთობა თორი მეგობრებთან ერთად ფორტნაიტის თამაშით. Fortnight ინგლისურად ნიშნავს დროის ორკვირიან შუალედს. სწორი პასუხია ფორტნაიტი.

8. თქვენთვის ცნობილ იქსბოქსის თამაშებს - Dance Central, Just Dance და Dance Paradise-ს შეგვიძლია ვუწოდოთ ერთგვარი **იქსი. იქსი** არის სამოყვარულო ინტერაქტიული თამაში, რომელსაც, როგორც წესი, სჭირდება ეკრანი და მიკროფონი. დაწერეთ **იქსი** იაპონური წარმოშობის სიტყვის გამოყენებით.

პასუხი: კარაოკე
კომენტარი: იქსბოქსის ჩამოთვლილ თამაშების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშეებმა შეასრულონ ეკრანზე გამოჩენილი ცეკვის მოძრაობები. ეს თამაშები ერთგვარი კარაოკეს როლს ასრულებენ. სწორი პასუხია კარაოკე.

9. . ანიმაციურ სერიალში "ცხენკაცა ბოჯეკი" ადამიანთა როლებში გვევლინებიან სხვადასხვა ცხოველები, რომლებიც თავიანთ თვისებებს ინარჩუნებენ. მაგალითად, ძაღლი - ერთგულია, ცხენს კი დიდი დოზით ალკოჰოლისა და ნიკოტინის ატანა შეუძლია. დაწერეთ, თუ რომელი ცხოველი აჭედებს დარიგებულ მასალაზე ლურსმანს.

პასუხი: ზვიგენი
ჩათვლა: თავჩაქუჩა
კომენტარი: როგორც დარიგებულ მასალაზე ხედავთ, ეს ცხოველი საკუთარი თავით აჭედებს ლურსმანს. სწორი პასუხია ზვიგენი.

10. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ ინგლისურ ენაში კვირას სახელი **იქსის** მიხედვით ეწოდა, ხოლო ორშაბათს **იგრეკის**. რადგან **იქსი** სინათლესთან, სითბოსთან და პოზიტივთან ასოცირდება, ხოლო **იგრეკი** ხშირ შემთხვევაში პირიქით. დაასახელეთ **იქსიც** და **იგრეკიც,** თუ ისინი ერთსა და იმავე ასოზე იწყებიან.

პასუხი: მზე და მთვარე
კომენტარი: კვირა, ინგლისურ ენაზე არის Sunday, რაც სიტყვა Sun - მზიდან არის ნაწარმოები, ხოლო ორშაბათი ითარგმნება როგორც Monday და მისი სახელი ასოცირდება Moon - მთვარესთან. კვირა, როგორც წესი კვირის საუკეთესო დღედ მიიჩნევა, ხოლო ორშაბათი პირიქით.

11. წიგნში “ალისა საოცრებათა ქვეყანაში”, ალისა სხეულის ზომა რამდენჯერმე იცვლება. მაშინ, როდესაც დამწუხრებული გიგანტური ალისა, კვლავ მცირე ზომის გახდება, იგი აღმოჩნდება **იქსების** ზღვაში. **იქსი**, მიუხედავად იმისა სიხარულის იქნება თუ მწუხარების გამომხატველი, თვალისთვის სასარგებლოა, რადგან დამცველობითი მნიშვნელობა აქვს. დაასახელეთ **იქსი** ერთი სიტყვით.

პასუხი: ცრემლი
კომენტარი: მწუხარე და გიგანტური ალისა ტირილს იწყებს და გიგანტური ცრემლები სცვივა, როდესაც ზომაში დაპატარავდება ეს გიგანტური ცრემლები ზღვად მოეჩვენება. თუნდაც მწუხარების ცრემლიც კი თვალისთვის სასარგებლოა, რადგან დამცველობითი მნიშვნელობა აქვს.

12. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუსიკალური კონკურსის სახელიდან გამომდინარე, მასში მხოლოდ ევროპელები უნდა მონაწილეობდნენ, 2015 წელს მაყურებლის წინაშე ავსტრალიელი მონაწილეც წარსდგა. დაასახელეთ ქართველი, რომელმაც 2019 წელს ამ კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

პასუხი: ოთო ნემსაძე
ჩათვლა: თამთა გოდუაძე
კომენტარი: სახელის მიუხედავად “ევროვიზიაზე” მონაწილეობას არაევროპელებიც იღებენ ხოლმე, რისი მაგალითიც 2015 წელსაც დაფიქსირდა. 2019 წლის ევროვიზიაზე საქართველო წარადგინა ოთო ნემსაძემ.

13. კოლხეთის მეფის აიეტის შვილს მედეას მკურნალობის საოცარი ნიჭი და ცოდნა ჰქონდა. მედეას შეეძლო მრავალი უკურნებელი სენის განკურნება. არსებობს ვერსია, რომ ტერმინი **იქსი**, სწორედ მედეას სახელს უკავშირდება. დაასახელეთ **იქსი** რვაასოიანი სიტყვის გამოყენებით.

პასუხი: მედიცინა
კომენტარი: მედეა იყო განთქმული მკურნალი. არსებობს ვერსია, რომ ტერმინი მედიცინა, სწორედ სახელი მედეადანაა ნაწარმოები მსგავსების გამო.

14. როდენის აზრით **იქსი** იწყება მაშინ, როდესაც ახლის სწავლა აღარ შეგიძლია. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით, თუ გეტყვით, რომ **იქსი** უკვე შეეპარათ ისეთ ადამიანებს როგორებიც არიან მორგან ფრიმანი, ნანი ბრეგვაძე და პელე, ხოლო თქვენ **იქსამდე** კიდევ ძალიან დიდი დრო გაშორებთ.

პასუხი: სიბერე
კომენტარი: როდენის აზრით, როდესაც ახალს ვეღარაფერს სწავლობ უკვე სიბერე გეწყება. ჩვენ ჩამოვთვალეთ ცნობადი სახეები, რომლებიც უკვე ასაკში არიან.

15. ერთმა საფეხბურთო ექსპერტმა, 7-8 მაისის თამაშების დასრულების შემდეგ იხუმრა, რომ იოჰან კრუიფს გაუმართლა, რადგან ამ დღეებს ვერ მოესწრო. საქმე იმაში გახლავთ, რომ იოჰან კრუიფი იცავდა როგორც **იქსის**, ასევე **იგრეკის** ღირსებას. დაასახელეთ **იქსი** ან **იგრეკი**, თუ გეტყვით, რომ ისინი ქართული ანბანის მეზობელ ასოებზე იწყება.

პასუხი: აიაქსი/ბარსელონა

კომენტარი: 7 და 8 მაისს გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების საპასუხო შეხვედრები, რომელშიც ბარსელონამაც და აიაქსმაც დასანანი მარცხი იწვნიეს. იოჰან კრუიფი თავის დროზე თამაშობდა როგორც ბარსელონას შემადგენლობაში, ასევე აიაქსის.